„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის N101/2022 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

თბილისი 2022 წლის 16 დეკემბერი

თსუ რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N304/01-01 ბრძანების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის N101/2022 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

კონკურსი იყო გამოცხადებული **ოთხ კათედრაზე**:

„ყბა-სახის ქირურგიის კათედრა"
ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
"ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა"
ასისტენტ-პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
„სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა"
ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

„ურولოგიის კათედრა"
ასისტენტ-პროფესორი (ა-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთი შემოიტანა **ოთხმა კონკურსანტმა.**

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა ოთხი კონკურსანტის საბუთი დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1) კონკურსანტების საბუთები განხილულ იქნა ცალ-ცალკე. შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმის შევსებით. ყველა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტები დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა წინადადება რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 24 ნოემბერს 15დან -16 სთ.მდე წარმოდგენილი კონკურსანტების გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია ,,დაეგზავნა" თითოეულ კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

24 ნოემბერს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2) აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>15 დან -16 საათამდე გასაუბრება გაიარეს:</u>

მედიცინის დოქტორებმა - თამარ ლომიძემ, მერაბ ბერაიამ, ნინო გაბუნიამ და თამარ ნემსაძემ მინი მოხსენებები. გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას, წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

იმავე დღეს 16 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 20 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა: თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თამარ ლომიძის არჩევას; თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ მერაბ ბერაიას არჩევას; თსუ მედიცინის ფაკულტეტზე უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ნინო გაბუნიას არჩევას; თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თამარ ნემსაძის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი თამარ ლომიძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორად. ქალბატონი თამარი ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა სტუდენტებთან, უწევდა მათ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო შრომების მომზადებაში, მაქსიმალურად უწყობდა ხელს სტუდენტებს კლინიკური უნარების ათვისებაში. კომისიის აზრით მედიცინის დოქტორი თამარ ლომიძე იმსახურებს კიდევ ერთხელ არჩეულ იქნას აღნიშნული კათედრის ასისტენტ-პროფესორად.
მედიცინის დოქტორი მერაბ ბერაია გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად. ბატონი მერაბ ბერაია მრავალი წელია მუშაობს თოდუას სახელობის კლინიკაში, როგორც რადიოლოგი არის წარმატებული ექიმი. იგი ასეთივე წარმატებით მუშაობდა სტუდენტებთან და მაქსიმალურად გადასცემდა თავის კლინიკურ გამოცდილებას. სტუდენტებს მის მიმართ აქვთ ყოველთვის დადებითი

შეფასება. ბატონი მერაბ ბერაია იმსახურებს არჩეულ იქნას აღნიშნულ კათედრაზე ასისტენტ-პროფესორად.

მედიცინის დოქტორი ნინო გაბუნია გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად. ქალბატონი ნინო გაბუნია მიუხედავად მისი ახალგაზრდა ასაკისა არის გამოცდილი უროლოგი და ერთ-ერთი წამყვანი ექიმი ლ. მანაგაძის სახელობის ეროვნულ ცენტრში. ჩვენი ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული. იგი პირველად არჩეულ იქნა ოთხი წლის წინ და განვლილ პერიოდში დაიმსახურა დადებითი შეფასება, როგორც კათედრის წევრებისგან ისე სტუდენტების მხრიდან. მაქსიმალურად ეხმარებოდა მორიგეობის დროს სტუდენტებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. მედიცინის დოქტორი ნინო გაბუნია იმსახურებს კვლავაც არჩეულ იქნას ასისტენტ-პროფესორად.

მედიცინის დოქტორი თამარ ნემსაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად. ქალბატონი თამარი არის გამოცდილი ყბა-სახის ქირურგი. აქვს მრავალწლიანი მუშაობის კარგი გამოცდილება. კათედრაზე ასისტენტ-პროფესორად მუშაობის პერიოდში გულისყურით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას და წარმატებით მუშაობდა სტუდენტებთან. სტუდენტების გამოხმაურება ქალბატონი თამარის მიმართ არის ყოველთვის დადებითი. ქალბატონი თამარი იმსახურებს არჩეულ იქნას აღნიშნულ კათედრაზე ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

თ. დოჭვირი

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)